,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ'' რექტორის 2024 წლის 20 თებერვლის №43/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 18 მარტის №33/2024 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი 22 აპრილი, 2024 წელი; 10:00 სთ.

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი: 1. პროფესორი მარინე ჩიტაშვილი (კომისიის თავმჯდომარე) 2. პროფესორი თამარ გაგოშიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი (კომისიის მდივანი) 4. პროფესორი იამზე კუტალაძე; 5. ასოცირებული პროფესორი მანანა მელიქიშვილი; 6. პროფესორი მანანა გაბაშვილი (საქართველოს საზოგადეობრვი საქმეთა ინსტიტუტი, ჯიპა); 7. პროფესორი ნინო ჯავახიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

დღის წესრიგი:

1. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარება
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, თსუ-ის რექტორის 2024 წლის 20 თებერვლის №43/01-01 ბრძანების საფუძველზე, პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის მიზნით ჩატარდა კენჭისყრა.

   კომისიის მდივანმა, პროფესორმა ანასტასია ქიტიაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა წინასწარ მომზადებული ბიულეტენები ხელმოსაწერად. ბიულეტენების რაოდენობა -7 . მან კომისიის წევრებს წარუდგინა ყუთი, რომელიც კომისიის წევრების წინაშე გაიხსნა. წევრები დარწმუნდნენ, რომ ყუთი ცარიელი იყო. კომისიის მდივანმა კომისიის წევრების წინაშე ქაღალდის საშუალებით დალუქა ყუთი, რომელიც დამოწმდა კომისიის წევრების ხელმოწერებით. კომისიის წევრებს დაურიგდათ კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენები, სულ 7 ბიულეტენი, ხმის მისაცემად. კენჭისყრის

დასრულების შემდეგ კომისიამ აირჩია ხმის დამთვლელი ჯგუფი: ასოცირებული პროფესორი მანანა მელიქიშვილი და პროფესორი მანანა გაბაშვილი. გამოყენებული ბიულეტენია - 7, გაფუჭებული -0. კენჭისყრის შედეგების დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის თანამდებობაზე ხათუნა მარწყვიშვილი გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე არის - კომისიის 7 წევრი, წინააღმდეგი - 0 წევრი.

2. კომისიის მიერ გაანალიზდა და შეჯერდა კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორის 1 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ხათუნა მარწყვიშვილმა.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან მიღება-ჩაბარების აქტით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ პირველ ეტაპზე კომისიის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

შეფასების პირველ ეტაპზე, ხათუნა მარწყვიშვილმა I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო მაღალი შეფასება.

ხათუნა მარწყვიშვილი თსუ-ში ასწავლიდა 2001 წლიდან 2005 წლამდე როგორც მოწვეული ლექტორი ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრაზე, ხოლო 2005-2016 წლებში როგორც ასისტენტ პროფესორი, ხოლო 2016 წლიდან როგორც ასოცირებული პროფესორი. მას სწავლების დიდი გამოცდილება აქვს ისეთ სპეციფიკურ საგნებში ბაკალავრიატის დონეზე, როგორიცაა

(1) კვლევითი ნაშრომი
(2) შესავალი პოზიტიურ ფსიქოლოგიაში
(3) ემოციური ინტელექტის კონცეპტუალიზაცია და შეფასების მეთოდები
(4) პიროვნების ფსიქოლოგია (სემინარი)
(5) კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში და სოციალურ მეცნიერებებში
(6) ფსიქოლოგიის საფუძვლები (ლექცია/სემინარი)
(7) აკადემიური წერა
(8) ექსპერიმენტული ფსიქოლოგია
(9) სტატისტიკის პრაქტიკუმი
(10) შესავალი ფსიქოლოგიაში (ლექცია)

მაგისტრატურის საფეხურზე:

(1) დიფერენციალური ფსიქოლოგია
(2) პიროვნების ემოციური და სოციალური განვითარება
(3) აკადემიური წერა

ხოლო დოქტორანტურის საფეხურზე :
(1) პიროვნების კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში
(2) სოციალური კვლევის მეთოდები

ხათუნა მარწყვიშვილის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით კონცეფციაში მკაფიოდ იკვეთება მისი კვლევითი ინტერესები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში, ასევე, პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების ფსიქოლოგიაში. კერძოდ, პიროვნების კვლევებს პოზიტიურ ფსიქოლოგიაში. მისი ინტერესის სფეროა თუ როგორ უკავშირდება ინდივიდუალური განსხვავებები რეალურ სამყაროში მიღწეულ შედეგებს (real world outcomes) და განაპირობებს ოპტიმალურ ფუნქციონირებას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა, სოციალური ურთიერთობები, კარიერული წარმატება თუ აკადემიური სფერო.

განსაკუთრებით სასარგებლოა მის მიერ განხორციელებული კვლევითი პროექტები ისეთ თემებზე როგორიცაა ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნები და უნარები – ემოციური ინტელექტი, ალექსითიმია, ემპათია, ემოციური კრეატიულობა; პატიება; პიროვნების ავერსიული მახასიათებლები: ბნელი ტრიადა და მისი კორელატები; დაძლევის სტრატეგიებისა და პოსტტრავმული ზრდის თვალსაზრისით არსებული ინდივიდუალური განსხვავებები; ფსიქოლოგიური და სუბიექტური კარგად ყოფნის განცდა; აქტივობაში ჩართულობა (Flow); ხასიათის სიმტკიცეები და შემოქმედებითობა. მნიშვნელოვანია, რომ ხათუნა მარწყვიშვილი აქტიურად იყო დაკავებული ამ კვლევების განხორციელებისათვის საჭირო ინსტრუმენტების ქართული ვერსიების ვალიდაციით. 2018 წლიდან ის ჩართული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ 3 პროექტში, როგორც ხელმძღვანელი და/ან მკვლევარი.

მნიშვნელოვანია მისი მიმდინარე კვლევითი პროექტები 1. ემოციური ინტელექტიდან ფსიქიკურ ჯანმრთელობამდე – ემოციური, კოგნიტური და ქცევითი ფაქტორების როლი ფსიქიკურ პრობლემებთან გამკლავების პროცესში 2. ორაზროვანი დანაკარგი: ადგილნაცვალი პირების ფსიქო-სოციალური ადაპტაცია.

გამოცხადებულ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე ხათუნა მარწყვიშვილის კანდიდატურას ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაუჭირა მხარი (7 - მომხრე, 0- წინააღმდეგი).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პედაგოგიური და პროფესიული უნარები, მისი გადმოცემისა და მეტყველების კულტურა. გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა ხათუნა მარწყვიშვილის პროფესიონალიზმი, მისი პედაგოგიური მიდგომების ეფექტურობა, სამეცნიერო კვლევის პრაქტიკული, გამოყენებითი მნიშვნელობა და დარგის განვითარებისთვის ზრუნვა საქართველოში.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის განათლება, პედაგოგიური გამოცდილება, სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის მოთხოვნებს. ხათუნა მარწყვიშვილის პრაქტიკული, კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება მნიშვნელოვანია შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და ფსიქოლოგიის დარგის შემდგომი განვითარებისთვის.

ერთხმად დაადგინეს:

1. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში (ერთი საშტატო ერთეული -„ა“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს ხათუნა მარწყვიშვილი.
2. შესარჩევის კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ–გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: პროფესორი მარინე ჩიტაშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

კომისიის მდივანი: პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი

ასოცირებული პროფესორი მანანა მელიქიშვილი

პროფესორი ნინო ჯავახიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორი მანანა გაბაშვილი (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ჯიპა).

პროფესორი იამზე კუტალაძე